



The European Union
for Georgia

ENPARD - Support to Agriculture
and Rural Development



დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის საშუალოვადიანი სტრატეგიული გეგმა

სექტემბერი 2020 წ. - სექტემბერი 2023 წ.

სარჩევი

შესავალი	Error! Bookmark not defined.
არსებული სიტუაციის ანალიზი.....	Error! Bookmark not defined.
დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია	6
არსებული ინფორმაციის საფუძველზე ტურისტული პროდუქტების, სერვისების, ობიექტებისა და ვიზიტორთა კმაყოფილების შეფასება	10
დაინტერესებული მხარეების როლი და პასუხისმგებლობები ტურისტულ პროდუქტებსა და სერვისებში ინვესტიციების განხორციელებაში.....	Error! Bookmark not defined.
რეგიონში ტურიზმის განვითარების სტრატეგიები და ერთობლივი ძალისხმევა	Error! Bookmark not defined.
ბაზრები და სამიზნე ჯგუფები	Error! Bookmark not defined.
დედოფლისწყაროში სოფლის ტურიზმის სექტორისა და დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის SWOT ანალიზი	22
რეკომენდაციები ინვესტირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და ტურისტული პროდუქტების შესახებ.....	28
დასკვნითი ნაწილი.....	33
დანართების ჩამონათვალი	34

შესავალი

დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის შუალედური სტრატეგიული გეგმა (სტრატეგია) (2020 წლის სექტემბერი - 2023 წლის სექტემბერი პერიოდისთვის) შემუშავებულია ესტონეთის სოფლის ტურიზმის განვითარების ორგანიზაციის (ERTO) წევრების მიერ 2020 წლის მაისი-აგვისტოს პერიოდში, "ჰესკ-ეპერ საქართველოს (Heks-Eper Georgia) მხარდაჭერით, პროექტის „მოქალაქეთა ჩართულობა ეკონომიკური განვითარებისთვის (PROCEED)“ (ENPARD II) ფარგლებში და დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფთან (LAG) პარტნიორობით. დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია არის ახლადშექმნილი ქოლგა ორგანიზაცია, რომლის მიზანია ადგილობრივ დონეზე ტურიზმის განვითარება, ხოლო ERTO-ს აქვს ესტონეთში ასეთი ორგანიზაციის შექმნის, განვითარების და მართვის 20-წლიანი გამოცდილება. თანამშრომლობის იდეა გაჩნდა 2019 წელს და შემდგომ განმტკიცდა 2020 წლის თებერვალში ERTO-ს დირექტორის, რაილი მენგელის, დედოფლისწყაროს რეგიონში ვიზიტით.

სტრატეგია შედგენილია COVID-19-ის პანდემიის გამო შექმნილ რთულ ვითარებაში, როდესაც არ არსებობდა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრის ან დანიშნულების ადგილზე ვიზიტის განხორციელების შესაძლებლობა. ამიტომ, აღნიშნული საშუალოვადიანი სტრატეგიის **შემდგენელები მადლიერნი არიან პროექტის „მოქალაქეთა ჩართულობა ეკონომიკური განვითარებისთვის (PROCEED)“ წარმომადგენლებისა** მათ მიერ მიწოდებული ამომწურავი ინფორმაციის, გაწეული დახმარებისა და თანამშრომლობისთვის. სტრატეგია შედგენილია ინგლისურ ენაზე, მრავალი სტრატეგიული დოკუმენტის, ტურიზმის სექტორის დაინტერესებულ მხარეებთან და ადგილობრივი თემების წარმომადგენლებთან 26 ინტერვიუსა და პროექტის პერსონალთან და დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის წევრებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე.

დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის სტრატეგიის ავტორებმა, რაილი მენგელმა და მარიკა კოხემ გამოიყენეს ესტონეთის სოფლის ტურიზმის განვითარების საუკეთესო პრაქტიკა, ესტონეთში სოფლის ტურიზმის განვითარების 20-წლიანი გამოცდილება ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, რათა სტრატეგია გამოსულიყო მაქსიმალურად გამოსადეგი და რელევანტური დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციისთვის.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) ანგარიშებზე, ტურიზმის განვითარების ეროვნულ სტრატეგიაზე, "ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნო სამხრეთ კავკასიაში (TJS)" პროექტის ფარგლებში ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისთვის ახლახანს

შემუშავებული ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიასა და სხვა შესაბამის სტრატეგიებზე დაყრდნობით, ასევე საკუთარი დასკვნებით, მიგვაჩნია, რომ "კოვიდ-19-ის შემდგომ მსოფლიოში" მცირე მასშტაბის მქონე სასოფლო და ბუნების წიაღში ტურიზმი კიდევ უფრო პოპულარული იქნება ადგილობრივ და საერთაშორისო ვიზიტორებს შორის. უფრო მეტიც, საქართველოს 2015-2025 წლების ტურიზმის სტრატეგიის მიზანი არის არა ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობის გაზრდა, არამედ მათი დარჩენის პერიოდის გახანგრძლივება და ტურიზმის რენტაბელობის ზრდა, ხარისხიანი პროდუქტებისა და მომსახურების შექმნისა და ფულის ხარჯვის შესაძლებლობების გაჩენის გზით. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) ექსპერტების პროგნოზებიდან გამომდინარე, საერთაშორისო მოგზაურობა პრობლემური იქნება მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში. ამიტომ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ 2020-2023 წლებში, საქართველოში გაიზრდება შიდა ტურიზმი და დედოფლისწყაროს რეგიონი ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ქართველების გულებში და ისინი სწორედ მას მიანიჭებენ უპირატესობას.

რაილი მენგელი და მარიკა კოხე

არსებული სიტუაციის ანალიზი

ტურიზმი 2020 წელს

წინამდებარე სტრატეგიული დოკუმენტი დაწერილია COVID-19-ის პანდემიის პერიოდში, რაც აქამდე არსებულ ყველა ტურისტულ ტენდენციასა და პროგნოზს ძალზედ არააქტუალურს ხდის. შემდეგი პროგნოზი ეხება მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) მსოფლიო ტურიზმის ბარომეტრს, (ტომი 18, გამოცემა 4, 2020 წლის ივლისი) მომდევნო წლების ტურისტული ტენდენციებისა და პროგნოზის გათვალისწინებით (რაც ასევე წარმოადგენს დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის სტრატეგიის დოკუმენტის ვადებს). მიუხედავად იმისა, რომ 2018 და 2019 წლებში ტურიზმი მზარდი ტენდენციით გამოირჩეოდა მთელ მსოფლიოში, მათ შორის ევროპის სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირა ნაწილშიც, 2019 წლის მონაცემებთან შედარებით (საერთაშორისო ვიზიტორები) ტურიზმმა 50%-ით დაიკლო მსოფლიოში და 2019 წელთან შედარებით, 2020 წლის მაისისთვის საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა 98%-ით შემცირდა.

COVID-19-ის მიზეზით საერთაშორისო მოგზაურობის შეზღუდვის გამო, შიდა და მეზობელ ქვეყნებში მოგზაურობა უფრო სწრაფი ტემპით განახლდება. ევროპული სამგზავრო კომისიის (ETC) ევროპული ტურიზმი: ტენდენციები და პერსპექტივები (Q2/2020) ასევე პროგნოზირებს, რომ შიდა და ახლო მანძილზე მოგზაურობა ევროპული ტურიზმის

აღდგენის პირველი წყარო იქნება. ექსპერტები ასევე პროგნოზირებენ მომხმარებელთა ქცევის ცვლილებებს. შინიდან ახლოს ან მეზობელ ქვეყნებში მოგზაურობის გარდა, ასევე მოხდება მოგზაურობის ვადების დაჯავშნა გამგზავრების თარიღებთან ახლოს ან უპირატესობა მიენიჭებათ მსუბუქი მანქანებით მგზავრობას, ვიდრე საზოგადოებრივი ტრანსპორტით (ავტობუსი, მატარებელი, თვითმფრინავი) სარგებლობას. ევროპაში არსებობს მდგრადობის გარკვეული პროგნოზები მოგზაურობის მოთხოვნის სტაბილური და სწრაფი აღდგენის ალბათობის მხრივ.

ვინაიდან სიტუაცია მუდმივად იცვლება, ტურიზმის ტენდენციების უფრო ხანგრძლივი პროგნოზირებისთვის კარგი შესაძლებლობა არ არსებობს. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციისა (UNWTO) და ევროპული მგზაურობის **კომისიის** (ETC) პროგნოზით, საერთაშორისო მგზაურობის აღდგენა დაიწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც კოვიდ-19-ის ეფექტური ვაქცინა გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი ყველა კონტინენტისა და ქვეყნისთვის, რაც ხელს შეუწყობს ახლო და შორ მანძილზე ფრენებს. თუმცა, საავიაციო სექტორს დიდი სირთულეები აქვს და ფრენების აღდგენას COVID-ამდე არსებულ მასშტაბებამდე, სულ მცირე, 3 წელი დასჭირდება.

მრავალი საერთაშორისო და შიდა ბარიერის მიუხედავად, ტურიზმის სექტორი საქართველოში აგრძელებდა ზრდას 2020 წლის დასაწყისამდე. 2020 წლამდე, საერთაშორისო ვიზიტორთა ზრდამ გამოიწვია ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა და მოსალოდნელი იყო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდაც. საქართველოს ტურიზმის სტრატეგიაში, რომელიც 2015 წელს მომზადდა და მოიცავს 2025 წლამდე პერიოდს, ერთ-ერთ მთავარ მიზნად დასახელებულია ტურიზმისგან მეტი ეკონომიკური სარგებლის მიღება, რაც არ ითვალისწინებს ვიზიტორთა ზრდას, თუმცა ითვალისწინებს უფრო მეტ პროდუქტებს, სერვისებს და ხარჯვის შესაძლებლობებს, აგრეთვე ვიზიტების ხანგრძლივობის ზრდას. ეს შეესაბამება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპეციფიკაციას, როგორც ბუნების წიაღში ტურიზმის მიმართულებას, დიდი ტურისტული პოტენციალით. ჩამოსული ვიზიტორები ძირითადად აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან და თურქეთიდან არიან, რომლებიც მეზობელი ქვეყნებია და ამ ქვეყნებიდან ჯამში 1 000 000-ზე მეტი ვიზიტორი ჩამოდის საქართველოში. ევროკავშირის ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყნებია გერმანია და პოლონეთი, რომლებიც ხელს უწყობენ ქართულ ტურიზმს. ამ ქვეყნებიდან ჩამოული ტურისტების რაოდენობამ 38,1%-ით და 32,0%-ით მოიმატა (<https://gnta.ge/statistics/>).

საქართველოში და ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ჩამოსულ ვიზიტორთა შედარებისას მნიშვნელოვანი განსხვავებები იკვეთება. უცხოელ ვიზიტორთა შორის მცირედი

რაოდენობრივი მსგავსებაა რუს და იტალიელ მოგზაურებში, ასევე გერმანელ და პოლონელ მოგზაურებში, რომლებიც 2017 წლის მონაცემებით მე-11 და მე-12 ადგილზე არიან (<http://apa.gov.ge/en/statistika>).

2017-2019 წლებში საქართველოში და დედოფლისწყაროს ნაკრძალებში ვიზიტორთა რაოდენობისა და მათი წარმოშობის შესახებ შეგროვებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ COVID-19-ის პანდემიის მდგომარეობის გათვალისწინებით, 2020 წლისთვის საქართველოსა და დედოფლისწყაროში ვიზიტორთა რაოდენობა ძალიან დაბალია და თუ პროგნოზმა გაამართლა, ასევე დარჩება მომდევნო რამდენიმე (2-3) წლის განმავლობაში. **ვამლოვანის ნაკრძალისა და ჭაჭუნას აღვეთილის ვიზიტორთა რაოდენობის შედარებისას საქართველოში არსებულ სხვა მსგავს ტურისტულ მიმართულებებთან, იკვეთება, რომ შიდა ვიზიტორთა რაოდენობა შედარებით მცირეა.** COVID-19-ის პანდემიის დროს შესაძლებელია გაზარდოს შიდა ტურიზმი და ბიძგი მიეცეს მეზობელი ქვეყნებიდან ვიზიტებს, თუ COVID-19-ის გამო შემოღებული შეზღუდვები საშუალებას მოგვცემს.

მიმდინარე სიტუაცია ხელსაყრელია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ადამიანური რესურსების განვითარების, პროდუქტებისა და სერვისების რაოდენობისა და ხარისხის გასაზრდელად, ხოლო ამ პროცესების წარმართვაში და პოპულარიზაციაში დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციას მთავარი როლი აკისრია.

დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია

2019 წლის მაისში, დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის დაარსებით, მისმა დამფუძნებლებმა გამოიჩინეს ნება ყოფილიყვნენ ქოლგა ორგანიზაციის წევრები, რომელიც აერთიანებს სოფლის ტურიზმის სექტორის დაინტერესებულ მხარეებს. დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის წევრთა შემადგენლობა (პროფილები, საქმიანობა, ასაკი) მრავალფეროვანია, რაც მყარ საფუძველს ქმნის ქსელური კავშირების განვითარებისთვის. ასოციაციის რამდენიმე წევრი უკვე შესული და წარმოდგენილია ეროვნული მასშტაბის ქსელებში (ღვინო, ეკოტურიზმი).

მისი არსებობის მოკლე პერიოდში, დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის წევრებმა და ხელმძღვანელებმა ბევრი პრაქტიკული და საჭირო საქმიანობა გაატარეს სოფლის ტურიზმის სექტორის დაინტერესებული მხარეებისთვის. მოკლე დროში შეიქმნა ვებგვერდი, ჩატარდა მრავალი ტრენინგი. წევრებისთვის ჩატარდა კონსულტაციები (პროდუქტების შემუშავება, მარკეტინგის მასალები, ტრენინგი, სერვისის დიზაინი). ეს კარგი

ნიშანია იმისა, რომ წევრებს აქვთ სწავლის და საკუთარი ბიზნესის განვითარების სურვილი და ცნობისმოყვარეობა. აქტიური ორგანიზება და მონაწილეობა შემდგომ ჩატარებულ სხვადასხვა ტრენინგში (მაგალითად: მომსახურების ხარისხი და დიზაინი, მომხმარებლის მგზავრობა, უსაფრთხოება, ფასთწარმოქმნა, მარკეტინგი, წარმართვა, ენები და ა.შ.) დაინტერესებული მხარეებს შესძენს უნარებსა და კომპეტენციებს და უზრუნველყოფს ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურების ხარისხის უკეთ გაგებას (წინადადებებისთვის იხილეთ მე-3 და მე-4 დანართები).

ამასთან, გამოკითხვამ და ინტერვიუებმა აჩვენა, რომ არსებობს საჭიროება იმისა, რომ დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია გახდეს უფრო მეტად ეფექტური, უკეთ ფუნქციონირებადი არასამთავრობო ორგანიზაცია. ასოციაციის წევრებს შორის ურთიერთობების განმტკიცების მიზნით, საჭიროა მათ თემში რეგულარული სასწავლო ტურების და ვიზიტების ან შეხვედრების ორგანიზება. სასწავლო ვიზიტების დროს, წევრებს შეუძლიათ გაეცნონ ერთმანეთის პროდუქტებს და სერვისებს და უფრო ფართო წარმოდგენა შეექმნათ თავიანთ მუნიციპალიტეტზე და მასზე თუ როგორ შეხედავენ მას და რას იფიქრებენ მასზე სტუმრები. ამგვარი ვიზიტები კარგი იქნება ასევე ჯვარედინი მარკეტინგისთვის. ყველა შემოთავაზებული საქმიანობის ორგანიზებისთვის საჭიროა ორგანიზაციის თავდადებული და პროფესიონალური ხელმძღვანელობა და ფუნქციონალური სტრუქტურა (იხ. დანართი 3 და დიაგრამა ქვემოთ) და მოითხოვს მუშაობას სრულ განაკვეთზე. მისი დაფინანსება შესაძლებელია კომბინირებული სქემით, საწევრო შენატანების, მუნიციპალიტეტისა და დონორების დახმარებით.

დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის საშუალოვადიანი სტრატეგიის შემუშავების ინტერესი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ტურიზმის მდგრადი და ორგანიზებული განვითარების განმსაზღვრელი ნიშანია. უფრო მეტად ფართო პლატფორმის მოპოვებისა და აღიარებისთვის, სტრატეგიულ მიზანს უნდა წარმოადგენდეს ახალი წევრების მიღება ყველა სექტორიდან. ძლიერი, აქტიური და თვალსაჩინო წევრები და ორგანიზაცია მთლიანობაში, შექმნიან და განამტკიცებენ პოზიტიურ დამოკიდებულებას ტურიზმის მიმართ, მიიღებენ ორგანიზაციისთვის უფრო ფართო საფუძველს და დაამყარებენ ნდობას დაინტერესებულ მხარეებსა და პარტნიორებს შორის.

მოცემული მომენტისთვის, დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია არც ძლიერი პარტნიორია და არც კარგად ფუნქციონირებადი წამყვანი ტურისტული ორგანიზაცია. ამასთან, ძლიერი და ფართოდ მოქმედი დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია კარგი პარტნიორი იქნებოდა ეროვნული და საერთაშორისო ტუროპერატორებისთვის კახეთის რეგიონში, საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციისთვის და ტურიზმთან დაკავშირებულ ყველა სხვა დაწესებულებისთვის.

ქართულ ტურიზმთან დაკავშირებული ქოლგა ორგანიზაციების ქსელში მონაწილეობა ასევე უნდა იყოს დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი. ტურიზმის სფეროში ქსელური კავშირების განვითარებაა და ტურიზმის ლობირება ყველა სექტორში და ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე და საჯარო-კერძო პარტნიორობა (PPP) წარმოადგენს განვითარებისკენ მიმართული ყველა სამომავლო ღონისძიების საფუძველს, რაც წარმოქმნის იმის საჭიროებას, რომ დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია მოქმედებდეს, როგორც დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO) და ქონდეს ერთობლივი მარკეტინგული სტრატეგია სხვადასხვა ბაზრებისთვის. დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციას შეუძლია ითანამშრომლოს ადგილობრივ სკოლებთან ტურიზმისა და გიდის პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი ადგილობრივი თემის წახალისება, რათა მოხდეს მათი ჩართვა ტურიზმთან დაკავშირებულ საქმიანობებსა და მეწარმეობაში და ისინი გახდნენ მაღალი შეფასების მქონე ადგილობრივი სტუმარ-მასპინძლობის სექტორის ნაწილი.


დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა, თავის სტრატეგიაში ტურიზმის განვითარება დაგეგმა, როგორც ეკონომიკის ცალკე მდგარი დარგი. სოფლის ტურიზმის ყველა კარგად ფუნქციონირებად დანიშნულების ადგილზე არსებობს მძლავრი ქოლგა ორგანიზაცია (დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია). ამიტომ, დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია, როგორც ქოლგა ორგანიზაცია, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ტურიზმის სფეროს დაინტერესებული მხარეების ინიციატივების მხარდაჭერა-კოორდინირებისა და ხელშეწყობისთვის. არ არსებობს სხვა სახის დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელიც შეძლებდა ამ როლის შესრულებას ადგილობრივ დონეზე, როგორც ეს დაინტერესებული მხარეებთან ინტერვიუებისა და კონსულტაციების შედეგად გახდა ცნობილი. ამ დროისთვის დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია არ არის მიმზიდველი პოტენციური პარტნიორებისათვის (მისი პასიურობის, თანამშრომლობის უნარის ნაკლებობისა და საიმედო ქოლგა ორგანიზაციის მსგავსად არ მოქმედების გამო).

ზოგადად, არასამთავრობო ორგანიზაციების კულტურა დედოფლისწყაროში დაბალია, წევრებს არ ესმით ქოლგა ორგანიზაციის როლი, მუშაობის პრინციპები და "ქვემოდან ზემოთ" მიდგომის პრინციპები. ასოციაციის წევრები პასიურად არიან განწყობილნი ასოციაციის საქმიანობის მიმართ და ყველას ხელმძღვანელის იმედი აქვს. პრობლემას წარმოადგენს არასაკმარისი კომუნიკაცია და თანამშრომლობა ასოციაციის შიგნით. სხვადასხვა დაინტერესებულმა მხარეებმა აღნიშნეს სოფლის ტურიზმის სექტორში ხალხის ენთუზიაზმის კლება. დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის ლიდერებმა უნდა წაახალისონ დაინტერესებული მხარეები, რათა ისინი მოთმინებით მოეკიდონ სოფლის

ტურიზმის პროდუქტებს და სერვისებს, მისცენ მათ შთაგონება და აუხსნან, რომ ასეთი სტრატეგიული და გრძელვადიანი მიდგომის ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევა. დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციას უნდა ჰქონდეს სტრატეგია, თუ როგორ უნდა შეუწყოს ხელი, დაუჭიროს მხარი და გაუწიოს კონსულტაცია წევრებსა და დაინტერესებულ მხარეებს, რათა ჰქონდეთ ძლიერი და მოტივირებული ქსელი.

ამ რეგიონში, დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის არსებობა დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის როლში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გამო, რომ ტერიტორია არის დიდი, **დასახლებები**, ბიზნესები და საწარმოები საკმაოდ მიმოფანტულია. მიუხედავად იმისა, რომ კარგი იქნებოდა თემზე ორიენტირებული ტურიზმისა და შენელებული ტურიზმის ტაქტიკისა და მასთან დაკავშირებული ახალი პროდუქტებისა და სერვისების პრაქტიკაში ხილვა, ამას კიდევ უფრო მეტი თანამშრომლობა და ხელშეწყობა სჭირდება. ასევე, პოტენციური პარტნიორების (ტუროპერატორების) მოთხოვნები და მოლოდინები შეიძლება იყოს ძალზედ მაღალი და რთულად დასაკმაყოფილებელი ან გასაგები, **დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია შეიძლება იყოს დამაკავშირებელი რგოლი სერვისების მიმწოდებლებსა და გადამყიდველებს შორის.**

ამ დროისთვის, ორგანიზაციისა და უფლება-მოვალეობების განაწილების შიდა სტრუქტურა არ არის ეფექტური და არ ემყარება ქვემოდან-ზემოთ ან მონაწილეობრივი მიდგომის პრინციპებს. დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის შემოთავაზებული სტრუქტურა უფრო მეტად მონაწილეობრივია.



არსებული ინფორმაციის საფუძველზე ტურისტული პროდუქტების, სერვისების, ობიექტებისა და ვიზიტორთა შეფასება

დედოფლისწყაროს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა უნიკალურ ბუნებასა და ულამაზეს პეიზაჟებს გვთავაზობს. ამავდროულად, მუნიციპალიტეტი თბილისიდან მხოლოდ 2 საათის სავალზეა, ხოლო სიღნაღიდან 30 კმ-ში, რაც რეგიონში ჩამოსული ვიზიტორების ერთ-ერთი წყაროა. მნიშვნელოვანია აღნიშნული ადგილებიდან უზრუნველყოფილი იყოს ტრანსპორტირების გამართული სისტემა და ხელმისაწვდომი იყოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის შესახებ ინფორმაცია რამდენიმე ენაზე.

ტურიზმის ზრდასთან ერთად საჭიროა ოპერატორებთან მოლაპარაკება კავშირის გაუმჯობესების შესაძლებლობებზე. აღნიშნული საკითხის ლობირება უნდა მოხდეს როგორც ასოციაციის, ისე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ. ასევე, გაუმჯობესებას საჭიროებს მუნიციპალიტეტში ინტერნეტის ხარისხიც. ბიზნესმა და საზოგადოებრივმა სექტორმა უნდა უზრუნველყონ უფასო ინტერნეტი უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტორებისთვის, ან თუ მასზე დაყენებული იქნება პაროლი, იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვიზიტორებისთვის.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია განთავსების და სატრანსპორტო სერვისები, ასევე, მცირე რაოდენობით საზოგადოებრივი კვებისა და სასმელის სერვისები. საწარმოთა უმრავლესობას არ აქვს ტურისტების მიღების გამოცდილება, განსაკუთრებით კი სოფლად - ხალხს მცირე წარმოდგენა აქვს იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ საკუთარი წვლილის შეტანა ან მონაწილეობის მიღება ტურისტულ ბიზნესში. ადგილობრივი მოსახლეობისთვის ტურიზმი და ტურისტები ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებთან ასოცირდება. ამიტომ, დედოფლისწყაროში საჭიროა პროდუქტის განვითარება ბიზნესის მართვის, პროდუქტის დივერსიფიკაციისა და ბაზარზე ორიენტაციის მიმართულებით. ტურიზმის შემოსავლების ანალიზმა ცხადყო, რომ იზრდება მოთხოვნა ღამისთევაზე ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, განსაკუთრებით ბანაკებში, ტურისტულ თავშესაფრებში და სასტუმროებში, თუმცა ტურისტები სულ უფრო და უფრო მაღალი დონის მომსახურებას ითხოვენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დამატებითი საბაზრო შესაძლებლობები ჩნდება. აშკარაა, რომ არსებობს განთავსებასთან დაკავშირებული შეზღუდვები ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ საჭიროა ასეთი სერვისების გაჩენა დაცული ტერიტორიების სიახლოვეს ან მათ მშობიარეზე. ერთ-ერთი წინადადება შეიძლება იყოს ისიც, რომ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მიერ მოხდეს განთავსების ობიექტების ქირით გადაცემა მეწარმეებისთვის, რომლებიც უკეთ შეძლებდნენ ამ ობიექტების ოპერირებას. თავის მხრივ, ვიზიტორებიც მოელიან კომუნიკაბელურ და განათლებულ გიდებს, მეგობრულად განწყობილ მასპინძლებს, კომფორტულ გარემოს, სადაც ისინი თავს ადგილობრივი თემის ნაწილად იგრძნობენ. დღესდღეობით, მოლოდინი, რომელიც ყველაზე მეტად უმართლდებათ სტუმრად ჩამოსულ ადამიანების, ესაა კეთილმეგობრული დამოკიდებულება, დანარჩენს კი სერიოზული დაგეგმვა და განვითარება სჭირდება.

განთავსების ობიექტებს არ შეუძლიათ დიდი ჯგუფების მიღება, ისინი ძალიან მცირეა და ვერ აკმაყოფილებენ ასეთი ჯგუფების საჭიროებებსა და მოლოდინებს. პრობლემის მოგვარება შესაძლებელია ერთმანეთის სიახლოვეს მცირე ზომის საცხოვრებლების შექმნით.

განთავსების ობიექტებისთვის არ არსებობს სტანდარტები. არსებული განთავსების ობიექტები მოქმედებენ პირადი გამოცდილების, მეგობრებისა და კოლეგების იდეებისა და რეკომენდაციების საფუძველზე.

დღეის მდგომარეობით, რეგიონში არ არსებობს B&B (საწოლი და საუზმე) ტიპის და ასევე საერთო საცხოვრებლის ტიპის, დაბალბიუჯეტის ღამის გასათევი ობიექტები. აქ არის 2 სასტუმრო (და 2 მშენებარე სასტუმრო), 3 საოჯახო სასტუმრო, 2 თავშესაფარი და 1 კოტეჯი, თუმცა ეს ვერ აკმაყოფილებს განთავსების საჭიროებას. უნდა მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ასეთი ტიპის განთავსების ობიექტების მიმართ არსებული მოთხოვნისა და B&B სერვისის წამოწყების შესაძლებლობების შესახებ. ასევე დაბალია

საკვების მიმწოდებლების რაოდენობაც (რესტორანი, კაფე, კერძების მომზადებისა და მიწოდების სერვისი და ა.შ.) - ამ დროისთვის აქ მხოლოდ 6 რესტორანი და 2 დარბაზია. არ არის სპეციფიური, ადგილობრივი სამზარეულოს რესტორნები. ვიზიტორთა რაოდენობის ზრდასთან ერთად სულ უფრო მეტად გაიზრდება კვების ობიექტების, ღია ცის ქვეშ საპიკნიკე ადგილების, თუ მზა კერძების მიწოდების სერვისების საჭიროება. დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციას შეუძლია წახალისოს და გადაამზადოს საზოგადოების წევრები იმისათვის, რომ გახდნენ მეწარმეები.

ცუდი ხარისხის სატრანსპორტო საშუალებების - გზების მდგომარეობის გამო, მეწარმეები იყენებენ ადგილობრივ ტრანსპორტს ხალხის გადასაყვანად ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებამდე და დედოფლისწყაროს სხვა შორეულ ადგილებამდე. ეს სატრანსპორტო საშუალებები მოძველებულია, არ არიან აღჭურვილნი კონდიციონერების სისტემებით და მათი რაოდენობა ძალზედ მცირეა. როდესაც ტურისტული დანიშნულების ადგილს სურს მეტი ვიზიტორის მოზიდვა, საჭიროა ადგილობრივი სატრანსპორტო საშუალებების გაუმჯობესება. სიღნაღში, რომელიც დატვირთული დანიშნულების ადგილია, არსებობს ტაქსის მომსახურება და ტაქსის მძღოლებს სიღნაღიდან ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე დაჰყავთ ტურისტები. დედოფლისწყაროში არ არსებობს საზოგადოებრივი ტაქსის სერვისი, რომელიც ტურისტებისთვის (და ადგილობრივი მოსახლეობისთვის) იქნებოდა ხელმისაწვდომი. თემს ან მეწარმეებს შეუძლიათ შექმნან ასეთი შესაძლებლობა, ექნება ამათ ვიზიკური ბიზნესის თუ აპლიკაციაზე დაფუძნებული სერვისის სახე.

საერთო პრობლემას წარმოადგენს პერსონალის კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები. მომსახურების მიმწოდებლებს არ გაუვლიათ კონკრეტული მომზადება მომხმარებლის მომსახურების კუთხით, საჭიროა სისტემური და დაგეგმილი ტრენინგების ჩატარება. დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციას, სასწავლო ცენტრ "სპექტრი"-სთან ერთად შეუძლია ამ პროცესის ფასილიტატორი გახდეს.

უცხო ენების ცოდნაც პრობლემას წარმოადგენს. დედოფლისწყაროს რეგიონში 5 გიდი ფლობს უცხო ენებს. მძღოლები და რეინჯერები არ ფლობენ უცხო ენებს. თუ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს სტრატეგიულ მიზნად აქვს დასახული იყოს ადგილობრივი მასშტაბის დანიშნულების ადგილი, აღნიშნული საკითხი პრობლემას არ წარმოადგენს, თუმცა, როდესაც უცხოელ ტურისტებს მოელი, საჭიროა უცხო ენების ცოდნა ადგილობრივი პროდუქციისა და სერვისების შეთავაზებისთვის.

არსებობს რამდენიმე საჯარო სერვისი, რომლებსაც იყენებენ როგორც ტურისტები, ასევე ადგილობრივი მოსახლეობა. ადგილობრივი რესპონდენტების შეფასებით, უსაფრთხოება და პირველადი სამედიცინო დახმარება კარგ დონეზეა განვითარებული და არცერთ

სტრატეგიულ დოკუმენტში ეს პრობლემად არ არის მითითებული. ამასთან, სხვა საჯარო სერვისები ხაზგასმულია ყველა ინტერვიუში და სტრატეგიულ დოკუმენტში და საჭიროებენ სასწრაფო ყურადღებას. საგზაო ქსელები არსებობს, თუმცა მათი მდგომარეობის გამო მათი გამოყენება მხოლოდ მაღალი გამავლობის (4x4) ავტომობილებისთვისაა ადვილად შესაძლებელი. ყველა სხვა სატრანსპორტო საშუალებამ ფრთხილად უნდა იმოძრაოს, რაც შესაბამისად ანელებს ტრანსპორტირების პროცესს. ტურ-ოპერატორებისთვის არ არის მიმზიდველი ასეთ გზებზე ავტობუსებით წასვლა, ასევე უცხოელი დამოუკიდებელი მოგზაურები არ ისურვებდნენ დაეზიანებინათ საკუთარი ავტომანქანები ან დაკარგულიყვნენ მიუვალ ადგილებში ცუდი მობილური კავშირის გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის რამდენიმე დასახლებულ პუნქტში არ არის მუდმივი წყალმომარაგება.

უნდა მოხდეს ამ პრობლემის მოგვარება. წყლის პრობლემასთან კავშირშია საზოგადოებრივი საპირფარეშოების და სხვა სანიტარული პრობლემებიც. ეს საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია უფრო დიდი ჯგუფებისთვის, რომლებიც ავტობუსებით მგზავრობენ და ჭირდებათ რეგულარული გაჩერებები საპირფარეშოსა და ჰიგიენისთვის. უფრო დიდ საავტობუსე ჯგუფებში ეს საკითხი უნდა მოგვარდეს ორგანიზებულად, თუნდაც მცირე გადასახადის დაწესებით.

მუნიციპალიტეტს სჭირდება მიწისქვეშა წყლების თანამედროვე გეოლოგიური შეფასება და წყლის რესურსების განვითარებასთან ერთად უნდა მოგვარდეს ჩამდინარე წყლების მართვის საკითხებიც.

ნარჩენების გატანას ადგილობრივი მუნიციპალიტეტი უწევს ორგანიზებას, თუმცა საჭიროა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება მყარი ნარჩენების განკარგვისა და გარემოსდაცვითი საკითხებში ცნობიერების ამაღლების კუთხით.

ტურიზმი უამრავ ნარჩენებს წარმოქმნის და თუ არ იარსებებს სპეციალური საპიკნიკე ადგილები (ტულეტები, ნაგვის ურნები, რომლებიც რეგულარულად იცლება და ა.შ.), ტურისტები არაერთ ადგილზე გაჩერდებიან და ამის მართვა ძალზედ რთულია. ორგანიზებული საპარკინგე ადგილების ქსელის შექმნა, შემოთავაზებული ინფრასტრუქტურით, ხელს შეუწყობს ვიზიტორთა გადაადგილების მართვას და კოორდინაციას, მათთვის მუნიციპალიტეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, პროდუქტებისა და სერვისების პოპულარიზაციას.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი არ წარმოადგენს აქტიურ მოთამაშეს საქართველოს, კონკრეტულად კი კახეთის ტურისტულ ლანდშაფტში. არ არსებობს მუნიციპალიტეტის ტურისტული ინტერნეტ პორტალი, რუკები, ტურისტების გზამკვლევი, ბროშურა ან ერთობლივი მარკეტინგის სხვა საშუალებები. რეგიონისთვის მარკეტინგი ხორციელდება მხოლოდ დაცული ტერიტორიების

მმართველი ორგანოების მეშვეობით და შემოიფარგლება ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებითა და ჭაჭუნას აღკვეთილით. ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ფუნქციას ასრულებს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრის მიერ, რომელიც პიკურ სეზონზე ძლივს უმკლავდება ვიზიტორთა დატვირთვას, რისთვისაც საჭიროა ან დამატებით პერსონალი ან ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციასთან თანამშრომლობით ერთობლივი ტურისტული საინფორმაციო ცენტრის შექმნა. დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციას შეუძლია ხელი შეუწყოს ინფორმაციის შეგროვებას და ერთობლივი მარკეტინგის კოორდინაციას, მაგრამ ამისთვის საჭიროა მუნიციპალიტეტის და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა და ასევე სათანადო დაგეგმვა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან ერთად.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო რეგიონია. ამავე დროს, სოფლის მეურნეობის საწარმოები მზად არ არიან სტუმრების მისაღებად და ვერ ხედავენ ტურიზმს, როგორც მათი საქმიანობის ნაწილს. ამასთან, აგროტურიზმი მზარდი ტენდენციაა და ასეც დარჩება COVID-19-ის პანდემიის შემდეგ, ამიტომ სოფლის მეურნეობის საწარმოებში ვიზიტების, კომუნიკაციის, დეგუსტაციების, პროდუქციის შექმნისა და სწავლის შესაძლებლობების შექმნა დამატებით ღირებულებას შესძენს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს, როგორც დანიშნულების ადგილს. აგროტურიზმის განვითარებისას პრიორიტეტულია სურსათის უვნებლობა, აგრეთვე სათანადოდ მოწყობილი ფერმერული ობიექტები და ფერმერებისთვის საკომუნიკაციო უნარების სწავლება.

დაინტერესებული მხარეების როლი და პასუხისმგებლობები ტურისტულ პროდუქტებსა და სერვისებში ინვესტიციების განხორციელებაში

წინა თავში აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა მჭიდრო თანამშრომლობა სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის. ამ შემთხვევაში, პირველი ნაბიჯი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავებაა. შემუშავების პროცესში უნდა მონაწილეობდეს ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობა, ადგილობრივი მოსახლეობა, ტურისტული სერვისების მიმწოდებლები, ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, დონორი ორგანიზაციები, არასამთავრობო სექტორი. ინვესტიციები ჩამოთვლილია დოკუმენტის მე-2 ნაწილში. დაგეგმილი სტრატეგია თავსებადობაში უნდა იყოს ყველა სხვა სტრატეგიასთან, ყველა სექტორი და დაინტერესებული მხარეები თავს თვლიდნენ მის ნაწილად და იყოს რეალისტური.

რეგიონში ტურიზმის განვითარების სტრატეგიები და ერთობლივი ძალისხმევა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი მოხსენიებულია რამდენიმე სტრატეგიულ დოკუმენტში. "კახეთის რეგიონის განვითარების 2014–2021 წლების სტრატეგიაში" დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების სტრატეგიას მცირე ნაწილი აქვს დათმობილი.

სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვანია სათავგადასავლო და აგროტურიზმის მიმართულებების განვითარება და ახალი მიმართულებების შექმნა, მათ შორის სათავგადასავლო, ეკო და აგროტურიზმი; ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის წყალმომარაგება, ნარჩენების მართვა და გზების მშენებლობა, კვალიფიკაციის ამაღლება. კახეთის რეგიონის სტრატეგიული მიზნები აქტუალურია დედოფლისწყაროს რეგიონისთვისაც. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა, კახეთის ტურიზმის დანტერესებულმა მხარეებმა და დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციამ აქტიურად უნდა ითანამშრომლონ ტურიზმის, როგორც დარგის განვითარებისთვის.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიას მეწარმეობასთან დაკავშირებით ორი კონკრეტული მიზანი აქვს; ინოვაციური და დივერსიფიცირებული ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა და ტურიზმის მდგრადი განვითარება. ტურიზმის ინფრასტრუქტურისა და სერვისების მოდერნიზაციაც ასევე სტრატეგიული მიზანია, რომელიც მიზნად ისახავს ტრადიციული და ინოვაციური ტურისტული ბიზნესის შექმნასა და განვითარებას ახალგაზრდებზე, ქალებზე ორიენტირებით. ღონისძიებები, რომლებიც განკუთვნილია ინოვაციური ხასიათის სოციალური და სხვა დამხმარე ღონისძიებების შემუშავებისთვის, ითვალისწინებს პროექტებს, რომლებიც ეხება ინოვაციურ მიდგომებს და ინოვაციური და მდგრადი გზით უდგებიან შემდეგ მიმართულებებს: სტუმარ-მასპინძლობის ინფრასტრუქტურის და ტურისტული პროგრამების შექმნა/გაფართოება/მოდერნიზება/აღჭურვა, ტურისტული ღირშესანიშნაობების ტურების (მარშრუტების) შექმნა; კვების ობიექტების (ტრადიციული სამხარეულოს რესტორნები, სწრაფი კვების ობიექტები ბუნებრივი ინგრედიენტებით, ბუტერბროდების დამზადების მაღაზიები და ა.შ.) მშენებლობა / მოწყობა, საინფორმაციო ცენტრების მოწყობა და ა.შ.

მეორე მიზანი - ტერიტორიის გარდაქმნა სოციალური და კულტურული კეთილდღეობის ადგილად, ითვალისწინებს საჯარო და კერძო-სამოქალაქო საზოგადოების ეფექტური თანამშრომლობის გაღრმავებას. სტრატეგიაში ნაჩვენებია, რომ საჭიროა საჯარო-სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობის განვითარება სოციალური ინფრასტრუქტურისა და სხვა

ქმედებებისთვის, ხოლო დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია სწორედ ის ინსტრუმენტია, რომელიც ამ სახის თანამშრომლობას განამტკიცებს.

აღნიშნული თანხვედრაშია ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების 2019 წლის ეკო-ტურიზმის განვითარების სტრატეგიასთან, სადაც გათვალისწინებულია მოხალისეობრივი პროგრამის შემუშავება, რომელიც დაეხმარება ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას იდეების გამომუშავებაში, კონკრეტული საქმიანობის განხორციელებასა და ფინანსური რესურსების დაზოგვაში. მაგ., მოხალისეებს შეეძლება დაეხმარონ ტურისტული მარშრუტების შემუშავებასა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში, ასევე შესაძლებელია მათ შესთავაზონ მსხვილი კომპანიებისთვის ღონისძიებების ორგანიზება, რომელთა მიზანია სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა და ა.შ. მოხალისეები შეიძლება ასევე იყვნენ დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის წევრები. **დოკუმენტში ასევე მითითებულია გიდების მომზადების და რეინჯერთა განათლების აუცილებლობაზე.**

ყველა სტრატეგიაში მოცემულია მონახაზები კონკრეტული ინფრასტრუქტურული საჭიროების, ახალი ბიზნესის და სერვისების წამოწყებით ბიზნეს სექტორის გააქტიურების, ადამიანურ რესურსებში ინვესტირების, როგორცაა კადრების გადამზადება და პროფესიული ქოლგა ორგანიზაციების შექმნისა და კერძო-საჯარო თანამშრომლობის გააქტიურების შესახებ.

ბაზრები და სამიზნე ჯგუფები

2019 წელს, საქართველოს საექსპორტო პროდუქტებში ტურიზმის წილმა 43% შეადგინა. უცხოელი ვიზიტორების მიერ დახარჯული თანხები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის საგადამხდელო ბალანსზე. **უცხოელი ტურისტები** დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ვიზიტორთა მხოლოდ 1/3-ს წარმოადგენენ და COVID-19-ის მიზეზით შექმნილი ვითარების გამო, მათი ზრდა სავარაუდოდ უახლოესი წლების განმავლობაში ნაკლებად სავარაუდოა. ვიზიტორთა რაოდენობა მცირეა, სავარაუდოდ, 13,000-15,000 ყოველწლიური სტუმარი, ეროვნულ და/ან საერთაშორისო დონეზე მნიშვნელოვანი და სისტემური მარკეტინგის გარეშე. საქართველოს მოსახლეობა არაა სათანადოდ ინფორმირებული დედოფლისწყაროს რეგიონის შესახებ. მიზეზი არაერთია (იხ. დანართი 2), რომელთაგან ერთ – ერთი სპეციფიური მარკეტინგის არარსებობაა. ამასთან, ეს შეიძლება გადაიქცეს მნიშვნელოვან და უნიკალურ უპირატესობად რეგიონისთვის, რადგან დედოფლისწყაროს და ტურიზმის განვითარების ასოციაციის წევრებს შეეძლება იმსჯელონ და შექმნან სურათი, თუ რა სურთ მუნიციპალიტეტისთვის, შექმნან უნიკალური სავაჭრო შეთავაზებები (usp) და მარკეტინგული მესიჯები და ასევე შეარჩიონ აუდიტორია და სამიზნე

ბაზრები მათი შეხედულებისამებრ. როგორც მცირე მასშტაბის დანიშნულების ადგილი, ნაკლებად განვითარებული ინფრასტრუქტურით ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების (გზები, ჰიგიენა, საგზაო ნიშნები, განთავსება და კვება) გარეშეც კი მუნიციპალიტეტს შეუძლია მაქსიმუმ ორჯერ მეტი ვიზიტორი მიიღოს, ვიდრე დღეს იღებს. ამიტომ, არ არის საჭირო "ყველაზე ორიენტირებული" მარკეტინგული საქმიანობის განხორციელება (რაც ძალიან ძვირია), არამედ მხოლოდ შერჩეული სამიზნე ჯგუფებისთვის.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის რეკომენდირებული სამიზნე ჯგუფები ადგილმდებარეობის, კულტურული, ბუნებრივი და ადამიანური რესურსების მიხედვით

ტურისტული ჯგუფი	არსებული სიტუაცია	სამომავლოდ
ბუნებით დაინტერესებულ ტურისტები. სპეციალისტები . აქტიური ტურისტები. ჯგუფები და უცხოელი დამოუკიდებელი მოგზაურები. მეტწილად უცხოელები. სასურველი კონტაქტები ადგილობრივ გიდებთან და მკვლევარებთან .	დაცული ტერიტორიების მონახულება მეცნიერული კვლევებისთვის, კონკრეტული სახეობებისა და ჰაბიტატებისთვის, ექსპედიციები. ცნობილია და მისაღებია ყველა პირობისთვის. "პიონერები", რომლებსაც ექნებათ საშუალება და სურვილი გადაიხადონ კარგი მომსახურებისთვის. გერმანია, ნიდერლანდები, პოლონეთი, უკრაინა, ესტონეთი და ა.შ. გაითვალისწინეთ! ბუნებით დაინტერესებულ ტურისტებს არ სჭირდებათ ზედამხედველობა, ისინი პასუხისმგებლები არიან ნარჩენებზე, ადგილი არ აქვს ვანდალიზმს, იცავენ ბუნების დაცვის წესებს.	ყველაზე სასურველი სამიზნე ჯგუფი. საჭიროა გაუმჯობესებული განთავსების ობიექტები, სერვისები. უკეთესი ინფრასტრუქტურისა და მარკეტინგის შემთხვევაში, მეტი ვიზიტორი ჩამოვა. ევროპის ყველა ქვეყანა და რუსულენოვანი ქვეყნები. სპეციფიკური ტურები ფრინველებზე დასაკვირვებლად (Birdwatching) - დიდი პოტენციალია გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის ბაზრებზე. 4 სეზონი, არავითარი სეზონურობა სამიზნე ჯგუფისთვის, ვინაიდან ფრინველები გამოსაზამთრებელ ადგილებში იკრიბებიან.
ბუნების	დღიური ვიზიტორები,	ძირითადი, სასურველი სამიზნე ჯგუფის

<p>მოყვარული ტურისტები. ფართო პროფილის ტურისტები. ორგანიზებული, ჯგუფური, ავტობუსები. თვითმართვადი, საკუთარი გიდით ან ტაქსით სიღნაღიდან და ა.შ.</p>	<p>მცირე ჯგუფები მეგზურების თანხლებით, ცხენებით და ველოსიპედებით, ლაშქრობების ჯგუფები (1-2.3-6 დღიანი). ქართველები, ევროპელები და რუსულენოვანი ქვეყნები. ბუნგალოებში ან კარვებში დარჩენა. ყველა ასაკობრივი ჯგუფი.</p>	<p>გაზრდა. მოსალოდნელია, რომ 1 ლით ექსკურსიაზე ჩამოსული ვიზიტორი დანიშნულების ადგილზე 1-2 ღამეს გაათევს (თუ საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესდება და რაოდენობრივად გაიზრდება). ისინი გამოიყენებენ დამატებით ატრაქციებს და მოელიან კვების სერვისს. თუ გაძლიერდება მარკეტინგი, ჩამოვა მეტი უცხოელი დამოუკიდებელი მოგზაური. თუმცა, ტურიზმში ჩართულ მოსახლეობას სურს იხილონ მეტი ჯგუფები და ორგანიზებული ვიზიტები დაცულ ტერიტორიებზე. დიდი მოთხოვნილებაა სპეციფიკურ და ხარისხიან განთავსების ადგილებზე, კომფორტზე, კვებაზე. საჭიროა საინფორმაციო ფირნიშები, მობილური კავშირი, რუკები. ევროპის ყველა ქვეყანა და რუსულენოვანი ქვეყნები. ყველა ასაკობრივი ჯგუფი. საჭიროა გიდები.</p>
<p>კულტურული ტურიზმი</p>	<p>ძირითადად ორგანიზებული ჯგუფები. ადგილობრივი და უცხოელები. თბილისიდან და სიღნაღიდან (ნაკლებად). ძირითადად დღის ტურები. ასევე უცხოელი დამოუკიდებელი მოგზაურები დაქირავებული ავტომობილებით, ან ქართველები საკუთარი ავტომობილებით. ეკლესია-მონასტრების, ფიროსმანის</p>	<p>რესპონდენტებმა არ მიუთითეს, კონკრეტულად თუ როგორ შეიძლება გაიზარდოს ტურისტული ჯგუფები, თუმცა ახსენეს, რომ სასურველია ასეთი ჯგუფების ხილვა. რესპონდენტების რჩევით, საჭიროა მეტი აქტივობები მუზეუმებში (მასტერკლასები, ღონისძიებები, მეგობრობის მუზეუმის განახლება). არქეოლოგიური ძეგლების რესტავრაცია. საპარკინგე ადგილები და ნიშნები. თუ გაფართოვდება მარკეტინგული ღონისძიებები, უფრო მეტი უცხოელი დამოუკიდებელი მოგზაური ჩამოვა და საჭირო იქნება განთავსების</p>

	მუზეუმის და ხორნაბუჯის მონახულება და სხვა. ასევე არქეოლოგიური ძეგლების დათვალიერება.	ადგილები.
გასტრონომიული და ღვინის ტურიზმი	საქართველოს/კახეთის მასშტაბით ცნობილი, განვითარების პროცესში მყოფი რამდენიმე ღვინის მარანი და მეურნეობა. სამომავლო პროდუქტის განვითარების და სერვისის დიზაინისთვის გარკვეული იდეები.	რესპონდენტები სტუმრების მოზიდვაში დიდ პოტენციალს ხედავენ, რათა ჩამოვიდნენ, შეიძინონ და ისიამოვნონ ადგილობრივი საკვებით. თუმცა, ჯერჯერობით არ არსებობს კარგი იდეები, თუ როგორ უნდა მოხდეს ამის მასშტაბური ორგანიზება. საჭიროა ადგილობრივი კვების ობიექტები - რესტორნები, კაფეები, მაღაზიები, მეურნეობები დეგუსტაციის შესაძლებლობით. ჰიგიენის საკითხებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ სამიზნე ჯგუფისთვის. წყალმომარაგება, ტუალეტები, სხვა საჭირო ობიექტები.
ღონისძიებების ტურიზმი	ელიაობა - 2 აგვისტოს, ჩამოდიან ნათესაობა და დიასპორის წარმომადგენლები. 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. ღვინო და პური და ფოლკლორი. ფიროსმანის მუზეუმში ტარდება რამდენიმე ღონისძიება.	რესპონდენტები თანხმდებიან, რომ საჭიროა ახალი ღონისძიებების ჩატარება. ზოგჯერ დიდი რესურსები არა საჭირო, არამედ ინიციატივა და ადამიანთა ჯგუფი მისი ორგანიზებისთვის. ღონისძიება, როგორცაა Tbilisi - Food & Beverages-თან დაკავშირებული 3-დღიანი ღონისძიება, რომელიც უნდა ჩატარდეს დედოფლისწყაროში. ახალი წინადადება - გასტრონომიული კონკურსი, ღვინის კონკურსი, არტ ფესტივალი (ფერწერის ფესტივალი, ან ფიროსმანის (ხელოვნების) ფესტივალი).
აგროტურიზმი	დღესდღეობით არაა დედოფლისწყაროში. გამოუყენებელი რესურსი. ზოგიერთ ადამიანს აქვს კარგი იდეა და ხედვა.	რეგიონი განთქმულია სხვადასხვა ფერმერული მეურნეობებით და კულტურებით, ჯიშებითა და პროდუქტებით, ეს საკმაოდ კარგი არგუმენტი იქნებოდა. ბევრმა ადამიანმა



	არსებობს საჭიროებები და პოტენციალი შიდა და უცხოური ბაზრებისთვის.	გამოთქვა აზრი, რომ ეს მიმართულება უნდა განვითარდეს. ფერმერული კარმიდამო, დარჩენა, პრაქტიკის გავლა, მონაწილეობა. შესაბამისია უფროსი ასაკის პირებისთვის ან მრავალშვილიანი ოჯახებისთვის. აქ მრავალი ძველი ჯიში და უძველესი სახეობა იზრდება და შესაძლებელია მათი დანერგვა მეურნეობებსა და პროდუქტებში. პრაქტიკული ტურიზმი, მონაწილეობითი ტურიზმი. ცხენით ჯირითი.
ფოტო ტურიზმი	ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ეწყობა ფოტო ტურები გიდების თანხლებით. კონკრეტული ფოტო სამალავები არ არის.	ფოტო ტურიზმი და ფოტო სამალავები არის სწრაფად მზარდი და ძალიან პოპულარული ტურისტული მიმართულებაა. თუ მუნიციპალიტეტში იაარსებებს სათანადოდ მომზადებული გიდები და ადგილები, სადაც შესაძლებელი იქნება სამალავების მოწყობა, ეს ექსკლუზიური შესაძლებლობას გააჩენს.
სასკოლო ჯგუფები	არც ისე ბევრი სასკოლო ჯგუფი ჩამოდის, თუმცა მაინც არიან ხოლმე მცირე რაოდენობით.	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში რამდენიმე ობიექტია, რომლებიც შეტანილია სასკოლო სახელმძღვანელოებში. ხორნაბუჯი, ვაშლოვანის ნაკრძალი და არქეოლოგიური ძეგლები და ფიროსმანის მუზეუმი. დედოფლისწყარო შეიძლება წარმოჩინდეს, როგორც უნიკალური დანიშნულების ადგილი სასკოლო ექსკურსიებისთვის, რომლებშიც შევა კულინარიული გაკვეთილები, თავგადასავლების ან სოფლის მეურნეობის ტურიზმი.
სტუდენტები	აგრარულ უნივერსიტეტებთან და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან	შესაძლებელია დედოფლისწყაროს პოპულარიზაცია, როგორც დანიშნულების ადგილის, სადაც მკვლევარები და სტუდენტები ჩაატარებენ კვლევებს,

	თანამშრომლობა რეალურად არსებობს, თუმცა სუსტად. სტუდენტური ჯგუფები სხვა ქვეყნებიდან სტუმრობენ დაცულ ტერიტორიებს, თუმცა იშვიათად.	გაივლიან საზაფხულო კურსებს, პრაქტიკულ სამუშაოებს და ა.შ. კვლევების საფუძველზე შექმნილი ადგილობრივი პროდუქტები (საკვები, ხელნაკეთობები და ა.შ.) შეიძლება კარგი პროექტი იყოს.
ასაკოვანი პირები	გამოუყენებელი სამიზნე ჯგუფი და აქვს პოტენციალი. ჯერჯერობით მათი ინტერესის საგანს კულტურა წარმოადგენს.	კარგი სამიზნე ჯგუფია აგროტურიზმისთვის. ცუდი გზების გამო არ აქვთ სურვილი ავტომობილით იმგზავრონ - ძალზედ დამღლელია. თუ იქნება მეტი კომფორტი და სერვისი, ისინი შესანიშნავი სამიზნე ჯგუფი იქნებიან.
სასემინარო ტურიზმი	დანიშნულების ადგილი ჯერ მზად არ არის, ობიექტები განვითარების პროცესშია.	დიდი პოტენციალი, თუ სასტუმროები, რესტორნები და ობიექტები მოესწრება. სოფლის მეურნეობის, კონსერვაციის და სოფლის განვითარების ღონისძიებების, ტრენინგებისა და სემინარებისთვის უნიკალური დანიშნულების ადგილი. სასემინარო მიზნით ჩამოსული ტურისტები მოელიან ადგილობრივ პროდუქტებსა და ტურებს. ისინი ხშირად ბრუნდებიან ოჯახებთან და მეგობრებთან ერთად.
სასწავლო ტურები, გაცნობითი ტურები	გარკვეული რაოდენობა ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) და ტურ-ოპერატორების მეშვეობით.	დიდი პოტენციალი, სასემინარო ტურიზმის მსგავსად. კარგი მარკეტინგული ინსტრუმენტი.
სამხედრო ტურიზმი	ზოგი ადამიანი ჩამოდის „ძველი“ ადგილების სანახავად	პოტენციალი იმ ადამიანებისთვის, ვისაც საბჭოთა ჯარში უმსახურია.

დედოფლისწყაროში სოფლის ტურიზმის სექტორისა და დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
სოფლის ტურიზმის სექტორი	
მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა - ტრადიციული მატყლის ხელნაკეთობები და ხალიჩები, ადგილობრივი საკვები, ეკლესიები, ისტორიული ძეგლები, არქეოლოგიური ადგილები, ფიროსმანის მშობლიური მხარე.	საქართველოში და მსოფლიოში დედოფლისწყარო არ არის ცნობილი, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილი.
უნიკალური ბუნებრივი გარემო (ლანდშაფტები, მდინარეები და ხევები, ხეობები, უდაბნოები, ნახევრად უდაბნოები, სავანის ლანდშაფტი, ჭაჭუნას და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები, სპეციფიკური იშვიათი ფრინველები, ძუძუმწოვრები და ქვეწარმავლები, მცენარეები, უხერხემლო ცხოველები სპეციფიკური ტურებისთვის) ბუნების ტურიზმის პროდუქტების განვითარების მიზნით.	ცუდი ტურისტული ინფრასტრუქტურა (გზები, საპარკინგე ადგილები, საზოგადოებრივი ტუალეტები, ნიშნები, საინფორმაციო დაფები, საზოგადოებრივი საპიკნიკე ადგილები).
საუკეთესო ცოდნა და კომპეტენცია ეკოტურიზმის შესახებ საქართველოში (ხალხი ვაშლოვანის ეროვნული პარკიდან, ვაშლოვანის მეგობართა ასოციაციიდან, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდიდან (WWF) და ა.შ.)	ცუდი ინფრასტრუქტურა (ელექტროენერჯისა და წყალმომარაგების შეფერხება, ჩამდინარე წყლების მართვა, ნარჩენების მართვა, მობილური კავშირი, შორეული ტერიტორია).
ვიზიტორების მიმართ მეგობრულად განწყობილი თემი.	ძალიან შორეული რეგიონი
ძალიან უსაფრთხო დანიშნულების ადგილი (დანაშაულის ძალიან დაბალი დონე, სტატისტიკის მიხედვით)	ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ტურისტების კონცენტრაცია
მდიდარი ველური ფლორა, რომელსაც ტრადიციულად სამკურნალო და საკვებ რეწვაში გამოიყენებდნენ, შეიძლება	არ არსებობს სტანდარტები სოფლის ტურიზმის სერვისებისთვის და სახეზეა ტურიზმთან დაკავშირებული უნარ-

გამოყენებული იქნას სუვენირებად და ტურისტულ პროდუქტებად.	ჩვევებისა და ცოდნის ნაკლებობა.
ასოციაციის მთავარ გვერდზე განთავსებულია სოფლის ტურიზმის მეწარმეების კომფორტული მონაცემთა ბაზა	დაბალი ხარისხის და არასაკმარისი აღჭურვილობა (ტრანსპორტი, საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და სხვა)
მსხლის , ბროწეულისა და ღვინის უძველესი ჯიშები კონკრეტული სუვენირებისა და სხვა სახის პროდუქტებისთვის	ტურისტებისთვის ადგილობრივი სუვენირებისა და ხელნაკეთობების სიმწირე
თუში მეცხვარეები და ცხვრის გამოსაზამთრებელი ადგილები	კულტურული მემკვიდრეობა სათანადოდ არ არის წარმოდგენილი (არ არის ინფორმაცია, თარგმანი და ა.შ.)
სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეგიონი (ღვინო, ბოსტნეული, მარცვლეული ზურდულეული , მხესუმზირა, რძე, ხორცი, თაფლი) აგროტურიზმის დიდ პოტენციალს იძლევა	არ არიან საკმარისი რაოდენობის ადგილობრივი გიდები, განსაკუთრებით ადგილობრივი ბუნების მცოდნე და მრავალენოვანი გიდები
გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში ბიოსფეროს ნაკრძალის შექმნით საერთაშორისო აღიარების მოპოვება	დედოფლისწყაროს რაიონში ტურიზმთან დაკავშირებული კონკრეტული ღონისძიებები არ ტარდება.
წელიწადის ოთხივე დრო შესაფერისია ტურიზმისთვის (კლასიკური "სეზონურობა" არ ახასიათებს), მაგრამ მკაცრი ზამთარი და ცხელი ზაფხული შეიძლება პრობლემას წარმოადგენდეს.	საჯარო და კერძო თანამშრომლობა ძალზედ დაბალ დონეზეა და თითქმის საერთოდ არ ხორციელდება თემზე ორიენტირებული აქტივობები
ადგილობრივ თემს გააჩნია გამოცდილება და ტრადიცია ელიაობასა და 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, მასშტაბური ადგილობრივი ღონისძიებების ორგანიზებისა და მასპინძლობის	დამოკიდებულება ძალზე სპეციფიკურ და მყიფე ბუნების ნაკრძალებზე (შეზღუდული გამტარუნარიანობით), როგორც მთავარი ღირსშესანიშნაობა.
ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები არის დედოფლისწყაროს რეგიონში მოგზაურობის საქვეყნოდ ცნობილი მთავარი დანიშნულების ადგილი	
დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების	დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების

ასოციაციის ძლიერი მხარეები	ასოციაციის სუსტი მხარეები
ადგილობრივ, ტურიზმის დაინტერესებული მხარეების აქვთ ნება და სურვილი ჰქონდეთ ისეთი ასოციაცია, როგორცაა დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია და იყვნენ მისი წევრები	დედოფლისწყაროში არასამთავრობო ორგანიზაციების დაბალი კულტურაა, წევრებს არ ესმით ქოლგა ორგანიზაციის როლი, და "ქვემოდან ზემოთ" მიდგომის მუშაობის პრინციპები
ძალიან მოკლე დროში შეიქმნა ვებსაიტი	დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის წევრები პასიურად არიან განწყობილი ორგანიზაციის საქმიანობის მიმართ. არასაკმარისი კომუნიკაცია და თანამშრომლობა ასოციაციის შიგნით.
ასოციაციის წევრებს აქვთ ტურიზმის განვითარების სურვილი და სტრატეგია. (სექტორისა და საკუთარი თავის განვითარების ნება).	არ არსებობს სტრატეგიული გეგმა და მიზნები.
ასოციაციის წევრთა შემადგენლობა მრავალფეროვანია (პროფილები, საქმიანობა, ასაკი), რაც ქმნის კარგ საფუძველს განვითარებისთვის	წევრების არ აქვთ ჩამოყალიბებული მოლოდინი და ინტერესი ორგანიზაციის მიმართ.
კონსულტაცია წევრებისთვის (პროდუქტის განვითარება, მარკეტინგული მასალები, ტრენინგი, სერვისის დიზაინი)	წევრებმა არ იციან სხვა წევრების საქმიანობისა და სერვისების შესახებ, ისინი ერთმანეთს არ სწვევიან
წევრებს აქვთ სურვილი და ცნობისმოყვარეობა ისწავლონ და განავითარონ თავიანთი ბიზნესი	წევრები არ სწვევიან დედოფლისწყაროს რეგიონის ღირსშესანიშნაობებს და ბუნების ძეგლებს და არ იცნობენ ადგილობრივ ტურისტულ პოტენციალს.
რამდენიმე წევრი შესულია და წარმოდგენილია ეროვნულ ქსელებში (ღვინო, ეკოტურიზმი).	წევრებს სოფლის ტურიზმის მიმართულებით აქვთ მცირე გამოცდილება და შესაბამისად, ნაკლებად ესმით ტურისტების საჭიროებები.
	დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის ხელმძღვანელები ფლობენ მოკლევადიან უნარებს ტურიზმის სფეროში და არ გააჩნიათ საკმარისი უნარები

	არასამთავრობო ორგანიზაციების მართვის კუთხით.
შესაძლებლობები	საფრთხეები
სოფლის ტურიზმის სექტორი დედოფლისწყაროში	
ვიზიტორთა ცხოვრების წესში, მოლოდინებსა და საჭიროებებში ცვლილებები, რასაც თან ახლავს ტურიზმის ახალი ტენდენციების გაჩენა და განვითარება, მათ შორის გამოცდილებასთან დაკავშირებულ პროდუქტებზე მოთხოვნის გაზრდა.	ტურიზმის სექტორის ვარდნა ეკონომიკური კრიზისის დროს, რაც უფრო ხანგრძლივი პერიოდით გრძელდება COVID-19-ის გამო. ზოგიერთმა საწარმომ შეიძლება შეწყვიტოს საქმიანობა ვიზიტორების სიმცირის გამო
მოკლევადიანი ტურების პოპულარობის ზრდა თბილისის (და მთელი საქართველოს) მაცხოვრებლებს შორის, რომლებიც სოფლის ტურიზმის ძირითად სამიზნე ბაზრებს წარმოადგენენ	კონკურენტი რეგიონების მიერ ბაზარზე (როგორც შიდა, ასევე საგარეო ბაზრებზე) უფრო მეტად მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტები და ეფექტური მარკეტინგული საქმიანობა
საქართველოს ტურიზმის მთლიან სექტორთან (სოფლის ტურიზმი, ქალაქები, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, რეგიონალური ტურისტული ორგანიზაციები და ა.შ.) თანამშრომლობის გაუმჯობესება.	არასაკმარისი თანამშრომლობა ტურიზმთან კავშირში მყოფ სხვადასხვა მხარეებს შორის
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის შესახებ ქართველი და უცხოელი ვიზიტორების ინფორმირებულობის გაზრდა	რეგიონში უსაფრთხოების შესუსტება
თანამშრომლობის განვითარება სოფლის მეურნეობის სხვა სექტორებთან (ხელოსნები, ტრანსპორტი, ვაჭრობა, სოფლები, სოფლის მეურნეობა და ა.შ.).	სოფლის ტურიზმის სექტორში ჩართული და დამწყები ხალხის ენთუზიაზმის შემცირება
რეგიონის ინფრასტრუქტურისთვის სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო დაფინანსების შესაძლებლობების უფრო ეფექტური გამოყენება	რეგიონში მოსახლეობის (სამუშაო ძალის) შემცირება და დაბერება
სოფლის ტურიზმი ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს და ბიზნესს, იზიდავს ახალგაზრდებს და აბრუნებს უკან,	ტურისტული ბიზნესი იყენებს კრიტიკული მნიშვნელობის მქონე რესურსებს (წყალი, ელექტროენერგია, მობილური კავშირი,

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში	სამაშველო სამსახური) და ტურისტების რაოდენობის ზრდასთან ერთად, შეიძლება გაჩნდნენ ტურიზმის მოწინააღმდეგენი
დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის შესაძლებლობები	დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის საფრთხეები
დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის წევრებს შორის ურთიერთობების განმტკიცება (თემის ჩამოყალიბების ღონისძიებები, სასწავლო ვიზიტები წევრებთან და სხვა რეგიონებში და ა.შ.)	ორგანიზაციის შიდა სტრუქტურა და ფუნქციების განაწილება არეფექტურია
ასოციაციაში ახალი წევრების მიღება ყველა სექტორიდან, ტურიზმის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების შექმნისა და განმტკიცების მიზნით, ორგანიზაციისთვის უფრო ფართო საფუძველის შექმნა და დაინტერესებულ მხარეებსა და პარტნიორებს შორის ნდობის განმტკიცება.	დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია არ არის მიმზიდველი პოტენციური პარტნიორებისთვის (მისი პასიურობის, თანამშრომლობისთვის საჭირო უნარების არარსებობისა და იმის გამო, რომ არ მოქმედებს, როგორც საიმედო ქოლგა ორგანიზაცია)
ასოციაციის წევრებისთვის სხვადასხვა ტრენინგების (მომსახურების ხარისხი და დიზაინი, მომხმარებელთა მოგზაურობა, უსაფრთხოება, ფასები, მარკეტინგი, გიდები, ენები და ა.შ.) აქტიური ორგანიზება და მათში მონაწილეობა	სოფლის ტურიზმის სექტორში ხალხის ენთუზიაზმის შემცირება
ძლიერი და ფართოდ ფეხმოკიდებული ასოციაცია კარგი პარტნიორია ეროვნული და საერთაშორისო ტუროპერატორებისთვის, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისთვის (GNTA) და ტურიზმთან დაკავშირებული ყველა სხვა დაწესებულებისთვის.	პოტენციური პარტნიორების (ტუროპერატორების) მოთხოვნები და მოლოდინები ძალიან მაღალი და რთულად დასაკმაყოფილებელია
მონაწილეობა ტურიზმთან დაკავშირებულ ქართულ ქოლგა ორგანიზაციებში	
ქსელური კავშირების განვითარება და ტურიზმის ლობირება ყველა სექტორში და	

მმართველობის დონეზე (ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნული დონეზე), საჯარო და კერძო პარტნიორობა	
დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია მოქმედებს როგორც დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO) და აქვს ერთობლივი მარკეტინგული სტრატეგია სხვადასხვა ბაზრებისთვის	
დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია აქვს კარგად ფუნქციონირებადი მმართველი ორგანო და სუბორდინაციის კარგი სისტემა	
ადგილობრივ სკოლებთან თანამშრომლობა ტურიზმის და გიდის სპეციალობის, როგორც კარიერული მოდელის პოპულარიზაციის მიზნით	

რეკომენდაციები ინვესტირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და ტურისტული პროდუქტებისთვის

ინვესტიციების ჩამონათვალი პრიორიტეტული ტურისტული ინფრასტრუქტურისა და პროდუქტებისთვის ეფუძნება ინტერვიუების შედეგებს, SWOT ანალიზს, სტრატეგიულ დოკუმენტებს და ინფორმაციის სხვა წყაროებს. რეგიონის განვითარებისა და არსებული პრობლემების გადასაჭრელად, საჭიროა მჭიდრო თანამშრომლობა სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის, რომელსაც ხელს შეუწყობს და უხელმძღვანელებს დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია.

დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის, მისი წევრებისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მთავარი ამოცანაა კერძო სექტორში არსებული დაინტერესებული მხარეების მოტივაცია, რათა მათ აქტიურად განავითარონ თავიანთი პროდუქტები და სერვისები, ადგილობრივი თემის ჩართვა ამ პროცესში, ასევე საჯარო სექტორისა და სამთავრობო უწყებებთან მოლაპარაკებების წარმოება, რათა პირდაპირი ინვესტირება განახორციელონ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში.

რეკომენდაციები კერძო სექტორის საქმიანობის, ინვესტიციების და კერძო სექტორის პროდუქტებისთვის

- დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია განვითარდეს და გარდაიქმნას ძლიერ ქოლგა ორგანიზაციად, სტრატეგიული გეგმით, ვინაიდან მიმზიდველი და კარგად განვითარებული დანიშნულების ადგილის საფუძველს ქსელური კავშირები და კარგად ინფორმირებული ადგილობრივი მოსახლეობა წარმოადგენს;
- უფრო მეტი პრაქტიკული სერვისების შექმნა (მოყვარული მხატვრებისათვის ხელოვნების კურსების მოწყობა, მასტერკლასების ორგანიზება: პურის ცხობა, მეღვინეობა, ყურძნის დაწურვა ფეხით, მატყლზე მუშაობა და ტრადიციული ხალიჩების ქსოვა და ა.შ.) რეგიონში;
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში დროებითი საზ-კვების ობიექტების განვითარება ან დროებითი კაფეების მოწყობა (ხალხს შეუძლია შეუკვეთოს კერძები დედოფლისწყაროს არომატით, რომლებიც დამზადებულია ადგილობრივი პროდუქტისგან, ადგილობრივი შეფ-მზარეულების მიერ);
- **განვითარდეს** წინასწარი შეკვეთით "საპიკნიკე კალათების" / გარე კვების სერვისები, ადგილობრივი საკვების გამოყენებით;
- შეიქმნას ქსელი (კულინარიული მარშრუტი) საკვებისა და სასმელებისთვის და დაიგეგმოს გასტრონომიული ტურები;
- მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის შესახებ ცნობადობის ამაღლება: ბრენდინგი, მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო გამოფენებში ასოციაციის წევრებისა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პარტნიორის ამპლუაში;
- ადგილობრივი სუვენირების დამზადება ადგილობრივი მასალების, ტრადიციებისა და შრომის გამოყენებით (იაფი, მსუბუქი, თვითმფრინავით წასაღებად შესაფერისი); საჭიროა ჩატარდეს სხვადასხვა ტრენინგები ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სუვენირების ფორმა, ფუნქციური დანიშნულება, მასტერკლასების მოწყობა, ფასები და სტუმართმასპინძლობის საფუძველები;
- პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის ამაღლება ტრენინგებით, სასწავლო ტურებით და სხვა რეგიონებში ვიზიტებით, კონკურსებით და გამოფენებით;
- ინვესტიცია სასემინარო მომსახურებისთვის საჭირო აღჭურვილობაში (განათება, პორტატული მაგიდები, სკამები, მონაცემთა პროექტორი, ეკრანი, მაგნიტური დაფა, მარკერები და ა.შ.);
- ინვესტირება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საზ-კვების დროებითი ობიექტების აღჭურვილობაში (კარვები, მაგიდები, სკამები, ჭურჭელი და ა.შ.);

- ინვესტირება საპიკნიკე კალათებში/ღია კვების ობიექტების აღჭურვილობაში (ინსტრუმენტები და ცოდნა);
- ინვესტირება ველო-გაქირავების სერვისებში;
- არსებული და ახალი გიდებისთვის ტრენინგების ორგანიზება (ზოგადი კომპეტენციები და დამატებითი ტრენინგები ადგილობრივი, ველური ბუნების გიდებისთვის (ფრინველებზე დაკვირვება);
- საერთო ღირებულებების შექმნა: განთავსების სტანდარტების ან განთავსების ობიექტებისა და მათი ხარისხის შეფასების კრიტერიუმების დანერგვა;
- ინვესტირება B&B (საწოლი და საუზმე) სერვისსა და დაბალფასიანი ჰოსტელის ტიპის, ღამის გასათევ ობიექტებში;
- ინვესტირება აგროტურისტულ სერვისებსა და ობიექტებში (ჰიგიენა, უსაფრთხოება, ინფრასტრუქტურა, პროდუქტების სადეგუსტაციო ადგილები და ა.შ.);
- აღჭურვილობის შექმნა განთავსების სტანდარტების ან განთავსების ობიექტის შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად;
- საერთო ღირებულებების შექმნა: საერთო წესები ან სტანდარტები საკვებთან დაკავშირებული საქმიანობისთვის (კვება, მასტერკლასები, დეგუსტაციები);
- აღჭურვილობის შექმნა საკვებ პროდუქტებთან დაკავშირებული საქმიანობის საერთო წესების ან სტანდარტების შესაბამისად. სპეციფიკური აღჭურვილობის საჭიროება გამომდინარეობს ამ სტანდარტებიდან;
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში კულინარიული მარშრუტის (საკვები და სასმელი) განვითარება და კულინარიული მემკვიდრეობის ევროპულ ქსელში - www.culinary-heritage.com ჩართვა;
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ტურისტული მარშრუტის შექმნა (მაგალითად საველოსიპედო მარშრუტები);
- ხორნაბუჯში ბინოკლების ან ჭოგრიტების (მუდმივი, მონეტებზე მომუშავე) შესყიდვა ლანდშაფტით დატკბობისთვის და პანორამების/ხედების შესახებ ინფორმაციის შექმნისთვის;
- ვიზიტორთა მზარდი რაოდენობისთვის ინვესტირება ახალ სატრანსპორტო საშუალებებში ადგილობრივი ტრანსპორტის გაუმჯობესების მიზნით;
- ინვესტირება „ტაქსი გამოძახებით“ სერვისში;
- სიღნაღი დედოფლისწყაროს ტურისტული განვითარებისთვის პრობლემას კი არ წარმოადგენს, არამედ დიდ შესაძლებლობას. სიღნაღის სტუმრებისთვის დამატებითი ღირებულების შესაქმნელად, დედოფლისწყაროს შეუძლია სიღნაღის მოსაზრებულად ჩამსვლელ ტურისტებს შემდეგი შინაარსის გზავნილი გაუგზავნოს: სიღნაღში წასვლამდე, მიიღეთ დალოცვა დედოფლისწყაროში სამარადჟამო მეგობრობისთვის!

სხვა დაწესებულებების მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი საჯარო ინვესტიციები:

- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტურიზმის სტრატეგიის შემუშავება;
- სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობით ისტორიული/არქეოლოგიური ძეგლების ვიზიტორებისთვის ჩვენება;
- ეროვნული მუზეუმის მიერ კულტურული ტურიზმის გააქტიურება (მაგ. ფიროსმანის მუზეუმის ბრენდი);
- მუნიციპალიტეტის ტურისტული პორტალის პოპულარიზაცია;
- ტურისტებისთვის ინფორმაციის განთავსება საზოგადოებრივ ადგილებში, ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე;
- საზოგადოებრივი ტუალეტების მოწყობა და სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა ტურისტულ ადგილებში და საზოგადოებრივ სივრცეებში, საავტობუსე ჯგუფების (უფრო დიდი ჯგუფების) და ინდივიდუალური ტურისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით, COVID-19 პრევენციის წესების დაცვით;
- ტურისტული ადგილებისა და სოფლებისკენ მიმავალი მთავარი გზების განახლება;
- ტურისტული ადგილების, საწარმოებისა და საჯარო სერვისებისკენ მიმავალი გზების გასწვრივ საგზაო ნიშნების დადგმა;
- ვაშლოვანის ეროვნულ პარკში საჭიროა აბრებისა და საინფორმაციო დაფების, უსაფრთხოების მიზნით კოორდინატების განთავსება;
- ინვესტიცია კარგი ხარისხის ინტერნეტ-კავშირში;
- დასუფთავების რეგულარული ღონისძიებები ან აქციები;
- ფერები დედოფლისწყაროში! (სახლების დასუფთავების/მოხატვის კამპანია. "ლამაზი სახლის" კონკურსი საღებავების მწარმოებელ კომპანიებთან თანამშრომლობით);
- გზების განახლებასთან ერთად, ახალი საზოგადოებრივი პარკირების ადგილების განახლება ან შექმნა;
- დასასვენებელი ადგილები (საპიკნიკე და პარკირების ადგილები და ა.შ. კომპლექსური გადაწყვეტილებები, როგორც არწივების ხეობაში) ისეთ ადგილებში, როგორცაა ხორნაბუჯი და ელიას მონასტერი ან სხვა ღირსშესანიშნაობები;
- მყარი ნარჩენების მართვის ორგანიზება იმგვარად, რაც უფრო თვალსაჩინო, კომფორტული და გასაგები იქნება ვიზიტორებისა და ადგილობრივი თემისთვის;
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზღვარზე "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სამუდამო მეგობრობის რეგიონში". კომპლექსური გადაწყვეტილებები საპარკინგე და მოსასვენებელ ადგილებთან და საპირფარეოებთან დაკავშირებით;

- დედოფლისწყაროს რეგიონის რუკები საზოგადოებრივ ხშირად მონახულებად ადგილებში (ხედები, ღირსშესანიშნაობები, მუზეუმები, მაღაზიები, ბენზინგასამართი სადგურები, ტურისტული საწარმოები და ა.შ.);
- არწივის ხეობაში უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფა რეგიონის შესახებ და კონკრეტული ინფორმაცია მოზინადრე ფრინველების შესახებ.
- ხორნაბუჯისკენ მიმავალი გზის განახლება. საგზაო ნიშნები;
- დედოფლისწყაროს მარგალიტების შესახებ საინფორმაციო დაფები ისეთ ატრაქციებთან, როგორცაა ელიას მონასტერი, არწივის ხეობა, ფიროსმანის მუზეუმი და ა.შ.
- მუნიციპალიტეტის ტურისტული სარეკლამო მასალების შექმნა;
- მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის შესახებ ცნობადობის გაზრდა: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი მხარს უჭერს ბრენდინგს, საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობას დედოფლისწყაროს და ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით (იხ. დანართი 4).

ტრენინგის თემატიკადან ყველაზე მნიშვნელოვანი თემებია:

- საოჯახო სასტუმროების ტრენინგი სტუმარ-მასპინძლობის საფუძვლებში;
- გიდების ტრენინგი;
- ტრენინგი ტურიზმის მარკეტინგის საკითხებში (დანართი 4).

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ტურისტული შეთავაზებების დივერსიფიკაცია. უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის ტურიზმის ინდუსტრიამ უნდა დააკმაყოფილოს "განვითარებული ქვეყნებიდან" ჩამოსული ტურისტების მოთხოვნები. მათი მოთხოვნები მოიცავს ადგილზე სტუმართმოყვარე სოფლის მოსახლეობის არსებობას, სუფთა გარემოს, ჯანსაღ საკვებს, ნატურალურ ღვინოს, ადგილობრივ დღესასწაულებში და ადგილობრივ ტრადიციებში მონაწილეობას. ჩამოთვლილი პროდუქტები ტურისტებს უნდა მიეწოდოს სტუმართმასპინძლობის ძირითადი სტანდარტების გათვალისწინებით, როგორცაა საუკეთესო სანიტარული პირობები განთავსებისა და კვების ობიექტებში, საკვებისა და ღვინის მაღალი სტანდარტები და ა.შ. ამ საკითხების შეფასება შესაძლებელია ვიზიტორთა კითხვარების გამოყენებით (დანართი 1).

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს აქვს შთამბეჭდავი ბუნებრივი რესურსები, მდიდარი ისტორია, საინტერესო ტრადიციები და სტუმარმასპინძლობის კულტურა, მაგრამ ადგილობრივმა მოსახლეობამ უნდა გააუმჯობესოს საბაზისო ინფრასტრუქტურა და შეიძინოს ტურიზმის ინდუსტრიისთვის საჭირო ცოდნა.

პირველ რიგში, უნდა გამოსწორდეს ტურიზმის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები: მომრავლდეს ღამის გასათევი დაწესებულებები და ტურიზმთან დაკავშირებული სხვა ინფრასტრუქტურა რეგიონში, რესტორნები, კაფეები, საპიკნიკე ადგილები, ტურისტული ბილიკები, ტურისტული ატრაქციები. საოჯახო სასტუმროებისა და აგროტურიზმის მეურნეობები ადვილად შეიძლება განვითარდეს და მათი გაუმჯობესების ხარჯები შედარებით ნაკლებია და არ არის დამოკიდებული იმაზე, განვითარდება თუ არა მუნიციპალური ინფრასტრუქტურა. ასევე, მუნიციპალიტეტში მრავალი კრიტიკული საკითხია, რაც შეაფერხებს ტურისტული ინდუსტრიის განვითარებას, თუ არ მოხდება მათი დროულად და სათანადოდ მოგვარება. დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციას გადამწყვეტი როლი აკისრია შესაბამისი ორგანიზაციებისთვის მსგავსი პრობლემების შეხსენებასა და მოგვარებაში და საჯარო და კერძო თანამშრომლობისთვის წევრების მობილიზებაში.

დასკვნა

დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციამ, მისი არსებობის მოკლე პერიოდში, შეძლო კარგი სტარტი აეღო, როგორც დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციას (DMO). სტრატეგიული გეგმის გარეშეც კი, არსებობის პირველი წლის განმავლობაში გადადგმულია სწორი ნაბიჯები რეგიონის განვითარებისთვის, როგორცაა შეხვედრები, ტრენინგები და მეწარმეების კონსულტირება-კოორდინირება. დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციას ჰყავს ბევრი წევრი, რომლებიც თავისი საქმის პროფესიონალია და შეიძლება სხვებისთვის კარგი მაგალითი გახდეს. ასევე, პარტნიორული თანამშრომლობა ჩამოყალიბდა ტურ-ოპერატორებსა და ხელსაქმეში ჩართულ ადამიანებს შორის. წევრები ფლობენ ტურიზმის საბაზისო დონის უნარ-ჩვევებს და თუ მათ შორის შედგება თანამშრომლობა და განვითარდება ქსელური კავშირები, დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი მალე ძლიერი და ცნობილი იქნება როგორც ქართველ, ასევე უცხოელ ვიზიტორებს შორის. გამოკითხული დაინტერესებული მხარეების მიერ ქოლგა ორგანიზაციის არსებობა აუცილებელ საჭიროებად დასახელდა, ეს საკითხი გათვალისწინებულია ადგილობრივ და რეგიონულ სტრატეგიებშიც. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები ასევე საჭიროებენ სოციალურ პარტნიორს ტურიზმის განვითარებისათვის.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ტურიზმისა და მისი განვითარების შემაფერხებელი რამდენიმე ფაქტორი არსებობს, რაც უკავშირდება ინფრასტრუქტურას, ატრაქციების ნაკლებ ცნობადობას და ხელმისაწვდომობას, დეფიციტურ სერვისებსა და პროდუქტებს. ერთეული

ძლიერი საწარმოების, ატრაქციების და ბიზნეს სუბიექტების არსებობა საკმარისი არ არის. ინფრასტრუქტურის ლობირებისას მათი ხმა შორს ვერ სწვდება, ხოლო არსებული რესურსები არ არის საკმარისი მარკეტინგისთვის. მხოლოდ ერთობლივად, როგორც ასოციაციას, ასევე მეწარმეებს შეუძლიათ გახადონ თავიანთი თავი ხილვადი, მიაწვდინონ ხმა შესაბამის უწყებებს და შეძლონ გავლენის მოხდენა, გახდნენ საიმედო, სანდო და კომპეტენტური დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO), პარტნიორი, მრჩეველი და თემის მოწინავე ორგანიზაცია.

დანართების ჩამონათვალი

- დანართი 1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ვიზიტორთა კვლევა - კითხვარი.
- დანართი 2. ინტერვიუები დედოფლისწყაროში. შეკითხვების შუალედური ანგარიში.
- დანართი 3. რეკომენდაციები დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმისთვის.
- დანართი 4. დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მარკეტინგის სტრატეგია